გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2024-2025 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   ნეიროგანვითარების ცენტრი „ ფენიქსი - ყაზბეგი“

   ნეიროგანვითარების ცენტრი “ფენიქსი” არის სივრცე, სადაც თითოეული თერაპევტისა და სპეციალისტის უმთავრესი მიზანია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ბავშვებისა და მოზარდების განვითარებასა და კეთილდღეობას. ცენტრი 2025 წელს დაარსდა და რამდენიმე თვეში შეძლო ბენეფიციარებისთვის დაემტკიცებინა მაღალი ხარისხი და სანდოობა.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები, ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვზე მავნე ზემოქმედების პრევენცია;

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

პრაქტიკის ინიციატორია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მაღალმთიან რეგიონს. მისი გეოგრაფიული მდებარეობა — „ჩრდილოეთის კარიბჭე“ — განპირობებულია ისტორიული სამხედრო გზით, რომელიც ქვეყანას რუსეთთან აკავშირებს. ადმინისტრაციული ცენტრი სტეფანწმინდა მდებარეობს ზღვის დონიდან 1 700 მ-ზე და წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კულტურულ და ეკონომიკურ ბირთვს.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 081.7 კვ. კმ-ს და მთლიანად მაღალმთიანი რელიეფით გამოირჩევა. მისი სიმბოლოა მყინვარწვერი (5047 მ), ხოლო მდინარე თერგი და გლაციარული ლანდშაფტები განსაზღვრავს ადგილობრივ ეკოსისტემასა და ტურისტულ პოტენციალს. მოსახლეობა დაახლოებით 4 800 ადამიანს შეადგენს და გაფანტულია

სხვადასხვა სოფელში. მუნიციპალიტეტში: 6 სკოლა და 1 გიმნაზია (655 მოსწავლე), 9 საბავშვო ბაღი (185 აღსაზრდელი). დემოგრაფიულად დამახასიათებელია ახალგაზრდების მიგრაცია, რაც ამცირებს ადგილობრივ შრომით რესურსს, განსაკუთრებით განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში. კულტურული თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მათ შორის გერგეტის სამებით (XIV საუკუნე), რომელიც ქვეყნის საერთაშორისო სიმბოლოდაც არის აღქმული.

ეკონომიკის ძირითადი მიმართულებებია ტურიზმი — როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სეზონებზე და ტრადიციული მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობის შესაძლებლობები შეზღუდულია მკაცრი კლიმატისა და რელიეფის გამო. ინფრასტრუქტურული გამოწვევები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში (ზვავები, გზების ჩაკეტვა, თოვლი), ხშირ შემთხვევაში ართულებს გადაადგილებას და სერვისებზე წვდომას.

ყაზბეგი წარმოადგენს უნიკალურ, ბუნებრივად და კულტურულად მდიდარ, მაგრამ გამოწვევებით სავსე გარემოს, სადაც მცირე მოსახლეობა ცხოვრობს რთულ პირობებში. სწორედ ამიტომ, ჯანმრთელობისა და ნეიროგანვითარების მიმართულებით სერვისების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად რჩება — ისინი უნდა იყოს მორგებული ადგილობრივი რეალობის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

შიდა ფაქტორები

ეს ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის შიგნით არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებთან და პირდაპირ გავლენას ახდენს პროექტების განხორციელებაზე.

ადმინისტრაციული და პროფესიული რესურსი:
საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის დონე, გამოცდილება და ცოდნა განსაზღვრავს პროექტების დაგეგმვისა და მართვის ხარისხს.

- **ფინანსური შესაძლებლობები:**
  მუნიციპალიტეტს აქვს საკმარისი ბიუჯეტი და სეზონური შემოსავლები რომ განახორციელოს პროექტები; ასევე საჭიროა დამატებითი სახელმწიფო ან დონორული მხარდაჭერა.
- **ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსი:**
  ზამთარში გზების ჩაკეტვა, ტექნიკური ბაზის შეზღუდულობა და სპეციფიკური მთიანი ინფრასტრუქტურა ართულებს საპროექტო სამუშაოების დროულ შესრულებას.
- **ადმინისტრაციული მასშტაბი და მოქნილობა:**
  მოსახლეობის სიმცირის გამო არასაკმარისია სპეციალისტების რაოდენობა სხვადასხვა სფეროში.

გარე ფაქტორები

ეს ფაქტორები მუნიციპალიტეტს გარედან მოქმედებს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსა და პროექტების წარმატებას.

- **ეკონომიკური და სოციალური პირობები:**
  ტურიზმის სეზონურობა, ახალგაზრდების მიგრაცია და სტაბილური სამუშაო ადგილების სიმცირე გავლენას ახდენს პროექტების გრძელვადიან მდგრადობაზე.
- **გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული მნიშვნელობა:**
  საქართველოს „ჩრდილოეთის კარიბჭე“ — საერთაშორისო სატრანზიტო გზის არსებობა ზრდის მუნიციპალიტეტის მნიშვნელობას, მაგრამ ასევე ქმნის ტრანსპორტის ინტენსივობისა და ეკოლოგიური ზეწოლის რისკებს.
- **ბუნებრივი პირობები:**
  ძირითადად ზამთარში, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, შეუძლებელი ხდება სპეციალისტების ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტის მიმართულებით, რაც ხელს უშლის პროგრამის უწყვეტ რეჟიმში განხორციელებას.
- **საერთაშორისო და ინფრასტრუქტურული პროექტები:**
  გუდაურისა და სტეფანწმინდის განვითარების მიმართ უცხოური ინტერესი და სახელმწიფო პროექტები მუნიციპალიტეტს აძლევს დამატებით სტიმულს, თუმცა ზრდის მოთხოვნებს მომსახურების ხარისხზე.

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

გამოწვევა
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მრავალი წლის განმავლობაში არ ფლობდა სპეციალიზებულ ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრს. მაღალი მთიანი რეგიონიდან თბილისში მგზავრობა მნიშვნელოვანი ფინანსური და დროითი ხარჯი იყო ოჯახებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ჰყავდა ბავშვები მეტყველების, ქცევითი, აკადემიური, სენსორული ან ემოციური სირთულეებით. ფსიქოლოგიური სერვისების არქონის გამო, ბავშვები ვერ იღებდნენ საჭირო მხარდაჭერას დროულად, ან საერთოდ ვერ იღებდნენ, რაც პირდაპირ ზღუდავდა მათ პიროვნულ და გონებრივ განვითარებას.

წარსული გამოცდილება
არსებული საჭიროებების მიუხედავად, მუნიციპალიტეტში არ არსებობდა სპეციალიზებული ფსიქოლოგიური, ლოგოპედიური ან სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურა. მშობლებს უწევდათ თბილისში ხანგრძლივი მგზავრობა, ხშირ შემთხვევაში კვირაში რამდენჯერმე. ეს ართულებდა რეგულარულ თერაპიებს, ზრდიდა ხარჯებს და ამცირებდა მომსახურების ეფექტიანობას,

რადგან ბავშვები დიდხნიანი მგზავრობის შემდეგ არ იყვნენ სათანადოდ პროდუქტიულები. კადრების ნაკლებობის გამო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებდა შესაბამის პროექტს, ხოლო თბილისიდან კადრების უზრუნველყოფა ან ადგილობრივი თერაპევტების გადამზადება დიდხნიანი და რთული პროცესი იყო.

პასუხი არსებულ გამოწვევაზე – მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ფსიქოლოგიური და ნეიროგანვითარების ცენტრმა „ფენიქსმა“, ყაზბეგის საკრებულოსა და მერიის თანადაფინანსებით, სტეფანწმინდაში გახსნა პირველი ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი, რომელიც სრულად
უზრუნველყოფს სერვისებს ადგილობრივ ბავშვებზე დაფუძნებული საჭიროებებით.

პროექტის შედეგად, ბავშვებს აღარ უწევთ თბილისში მგზავრობა. მერიის ვაუჩერული სისტემის მეშვეობით, სერვისები — მეტყველების, ქცევითი, აკადემიური, ფიზიკური, ოკუპაციური და ფსიქოლოგის მომსახურება — ხელმისაწვდომია სრულიად უფასოდ.

პირველი თვეებიდანვე შეინიშნება როგორც თერაპიული პროგრესი, ისე ოჯახის ფინანსური და დროითი ტვირთის მნიშვნელოვანი შემცირება.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

პროექტის შინაარსი

პროექტი მიზნად ისახავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ გარემოში თანამედროვე ნეიროგანვითარების ცენტრის შექმნას, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ სხვადასხვა ნეიროგანვითარების სერვისებით: მეტყველებითი, ქცევითი, აკადემიური, სენსორული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური თერაპიები.

ცენტრი მუშაობს თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით, მათ შორის ჯგუფური და ინდივიდუალური თერაპიით.

აქტივობათა გეგმა

N	აქტივობა	ვადები	პასუხისმგებელი
1	საჭიროებების შეფასება და მუნიციპალიტეტთან შეთანხმება	ოქტომბერი 2024 წ.	ფენიქსი + მერია
2	სივრცის შერჩევა და მატერიალური ბაზის მოწყობა თებერვალი	თებერვალი 2025 წ.	მერია

3	სპეციალისტის შერჩევა/ ტრენინგი	თებერვალი - მარტი 2025 წ	ფენიქსი
4	ვაუჩერული დაფინანსების სისტემის დადგენა	აპრილი 2025	მერია + საკრებულო
5	ცენტრის გახსნა და სერვისების დაწყება	მაისი 2025 წ	მერია + ფენიქსი
6	მონიტორინგი და შერფასება	უწყვეტი	მერია + ფენიქსი

პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები

(ჩასართავია განაცხადს, ჩამონათვალი კი ასეთია)

- ✓ მემორანდუმი;
- ✓ საკრებულოს დადგენილება ცენტრის დაფინანსების თანამონაწილეობაზე; (ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 17.01.2023 წ. მუხლი 18)
- ✓ სტეფანწმინდაში სივრცის გადაცემის/გამოყოფის დადგენილება (დანართის სახით დამატება)

მოქალაქეთა და ორგანიზაციების ჩართულობა;

მშობლები და ოჯახები – საჭიროებების იდენტიფიკაცია, რეგულარული უკუკავშირი;

სკოლები და ბაღები – ბავშვების გადამისამართება და ინფორმაციის მიწოდება;

საჯარო უწყებები – მერია, საკრებულო, სოციალური სამსახური,

ფენიქსის ფსიქოლოგები, ლოგოპედები, თერაპევტები – პროფესიული მხარდაჭერა

გამოყენებული რესურსები

ა) ადამიანური რესურსი

- ✓ ფენიქსის გუნდი: ფსიქოლოგები, ABA სპეციალისტები, ლოგოპედები,
- ✓ ოკუპაციური თერაპევტები, ფიზიკური თერაპევტები
- ✓ მერიის სოციალური მიმართულების სპეციალისტები
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალი

ბ) ფინანსური რესურსი

- ✓ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი – ვაუჩერული დაფინანსება
- ✓ ფენიქსის თანამონაწილეობა – სპეციალისტების მომზადება და მეთოდოლოგია

გ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

- ✓ თერაპიის ოთახები, შემეცნებითი და სენსორული მოწყობილობები
- ✓ მობილური აპარატურა, შეფასების მასალები
- ✓ სპეციალიზებული თერაპიული ინვენტარი

გამოხატული პრობლემები და გადაჭრის გზები

პრობლემა	**გადაწყვეტა**
მაღალმთიან რეგიონში სპეციალისტების გადაყვანის სირთულე	გრაფიკი + ტრანსპორტირების უზრუნველყოფა
მშობლების ინფორმაციის ნაკლებობა	საინფორმაციო კამპანია სკოლებში/ბაღებში

პარტნიორები

- ✓ ყაზბეგის მერია
- ✓ ყაზბეგის საკრებულო
- ✓ ნეიროგანვითარების ცენტრი „ფენიქსი“
- ✓ ადგილობრივი სკოლები და ბაღები
- ✓ სოციალური სამსახური

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

პროექტი წარმოადგენს პირველი ტიპის ცენტრს რეგიონში, რომელიც ფუნქციონირებს ევროპულ სტანდარტებზე და უზრუნველყოფს მრავალპროფილურ გუნდურ მუშაობას. აღნიშნული ცენტრი უკვე აღიარებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ როგორც კრიტიკულად საჭირო სამსახურების ცენტრი.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

- ✓ ცენტრს ამ დრომდე მიმართა 55-მა ბავშვმა.
- ✓ მშობლების ფინანსური ხარჯი საშუალოდ 90%-ით შემცირდა.
- ✓ ბავშვების ნაწილმა, ვინც ადრე საერთოდ ვერ იღებდა მომსახურებას, პირველად მიიღო შეფასება.
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს პროფესიული კონსულტაციები ქცევისა და სწავლების მხარდაჭერაზე.
- ✓ საზოგადოებაში გაიზარდა ცნობიერება განვითარების სირთულეების ადრეული გამოვლენის შესახებ.
- ✓ მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა გრძელვადიანი, ნეიროგანვითარების ცენტრი, რაც აქამდე არ არსებობდა.

9. **მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:**

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

<u>წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები</u>

- ✓ <u>მერიისა და საკრებულოს სრული თანამშრომლობა;</u>
- ✓ <u>ფენიქსის პროფესიული გამოცდილება</u>
- ✓ <u>პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი</u>
- ✓ <u>უკუკავშირი მშობლებთან</u>
- ✓ <u>ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში</u>
- ✓ <u>ადგილობრივი თემის მხარდაჭერა</u>
- ✓ <u>პირდაპირი კომუნიკაცია სკოლებთან/ბაღებთან</u>

<u>ინიციატივის მდგრადობა</u>

<u>ა) ცვლილება მუნიციპალურ სერვისებში მუნიციპალიტეტში დაინერგა ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული პროექტი.</u>

<u>ბ) ბიუჯეტში ასახული ცვლილება ვაუჩერული პროგრამა შეტანილია სოციალურ მიმართულების ბიუჯეტში.</u>

<u>გ) მოსახლეობის მხარდაჭერა მშობლების ჩართულობა ძალიან მაღალია; მოთხოვნა ყოველთვიურად იზრდება.</u>

<u>დ) პროექტის გაგრძელება მომავალ წელს 2026 წლის ბიუჯეტში პროექტი უკვე შეტანილია და დაფინანსება გაგრძელდება.</u>

10. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ყაზბეგში ნეიროგანვითარების ცენტრის შექმნაში — დაწყებული საჭიროებების განსაზღვრიდან, დასრულებული შედეგების შეფასებითა და პროექტის განვითარებით.

1. საკრებულოს როლი პროექტის დაგეგმვის ეტაპზე

- **საჭიროებების განსაზღვრა:**
  საკრებულომ გაანალიზა მოსახლეობის მდგომარეობა, განსაკუთრებით ბავშვების ნეიროგანვითარების სერვისების წვდომაზე მაღალმთიან რეგიონში.
- **სტრატეგიული გადაწყვეტილება:**
  ცენტრი შეტანილ იქნა მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პრიორიტეტებში.
- **ბიუჯეტის დამტკიცება:**
  საკრებულომ გამოყო თანხა ცენტრის ვაუჩერული დაფინანსებისთვის და უზრუნველყო დამატებითი რესურსების მობილიზება.
- **საკრებულოს მონაწილეობა საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში**

- საკრებულომ შეარჩია ნეიროგანვითარების ცენტრი, როგორც **მუნიციპალიტეტის გამოწვევებზე მორგებული, ინოვაციური და მაღალი სოციალური მნიშვნელობის მქონე პრაქტიკა**.
- პროექტი წარდგენილ იქნა, როგორც წარმატებული მაგალითი ნეიროგანვითარების ცენტრში არსებულ სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში.

- ინიციატივა აღიქმებოდა როგორც **სოციალურად აუცილებელი პროგრამა,** რამაც უზრუნველყო გადაწყვეტილების სწრაფი და შეუფერხებელი მიღება.

საკრებულომ თავისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებითა და მხარდაჭერით გახსნა ნეიროგანვითარების ცენტრი.
ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას რეალური ცვლილება მოახდინოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე — განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

ნეიროგანვითარების ცენტრი მომავალშიც გეგმავს განვითარებას, სერვისების გაფართოებას და მეტ ხელმისაწვდომობას.

მთავარი მიმართულებებია:

სერვისების გაფართოება

- ახალი თერაპიული პროგრამების დანერგვა;
- ჯგუფური სესიების დამატება სოციალური და კომუნიკაციური უნარების გასაძლიერებლად.
- დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

სპეციალისტების პროფესიული გაძლიერება

- სტაჟირებები, ტრენინგები და სერტიფიცირების პროგრამები, რომელშიც დაინტერესების შემთხვევაში ჩართული იქნებიან ადგილობრივი, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები.
- თანამშრომლობა სპეციალიზებულ კლინიკებთან.
- რეგიონში სპეციალისტების მომზადებისა და მოზიდვის სტიმულირება.

სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

- მობილური ჯგუფების შექმნა სოფლების მოსანახულებლად.
- ონლაინ–კონსულტაციების დანერგვა რთული კლიმატური სეზონების გადასალახად.
- ოჯახებისთვის მხარდაჭერის პროგრამები: მშობლების სწავლება, ჯგუფური შეხვედრები.

ინფრასტრუქტურის და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- თერაპიული ოთახების განახლება და აღჭურვის განახლება.
- დოკუმენტაციის სისტემა და მონაცემთა ბაზის შექმნა.

პარტნიორობებისა და თანამშრომლობების გაფართოება

- თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან.
- ჩართვა პროექტებსა და რეგიონულ პროგრამებში.
- გამოცდილების გაზიარება სხვა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებთან.

გრძელვადიანი მიზანი

მაღალმთიან რეგიონებში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის თანაბარი, ხარისხიანი ნეიროგანვითარების სერვისების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მათი განვითარების, განათლებისა და სოციალური ჩართულობის გაუმჯობესებას.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
    - **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:**

    გიორგი ღუდუშაური - ნეიროგანვითარების ცენტრის „ფენიქსი“ კლინიკური დირექტორი.
    საკონტაქტო: 599 92 79 11, gudushaurigiorgi.gg@gmail.com
    თამარ შიოლაშვილი - ნეიროგანვითარების ცენტრის „ფენიქსი - ყაზბეგი“ ხელმძღვანელი.
    საკონტაქტო: 599 44 15 44, tamarshiolashvili20@gmail.com

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**
    - https://www.facebook.com/story.php?story_fbid=122221643780071728&id=61552151864644&rdid=4fzMml16koCigom2#
    - https://www.facebook.com/reel/24367710176227416

- https://www.facebook.com/story.php?story_fbid=122269324940071728&id=61552151864644&rdid=oKeG74JS6bMKRVxq#
- https://www.facebook.com/61552151864644/posts/122273103290071728/?rdid=qjiEEuK3UWay1U7O#